5
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 139
ივლისის 4, ხუთშაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 139
ივლისის 4, ხუთშაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ივლისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“
ღირს ექვს მანეთად. (6 მ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს**, ტფილისს. (24—361—5)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

გორში
ექიმი კ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, ფრანგების ეკკლესიის ახლო.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ზ. ვ. მალალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

ზ. ვ. მალალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ქართველ ქალთა
ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკრავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა № 12.

დ. სურამში
შაბათს, 6 ივლისს, 1902 წ.
ახალს თეატრში «სან-რივალში»

ქართული დრამატიული დასი ვ. გუნიას გამგებლობით და ქ-ნნთ ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელისა და ბ-ნნთ ვ. გუნიას, კ. შათირიშვილისა და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

ძალა აღმართსა ჰხნავს
კომედია 4 მოქ. გადმოკ. ვ. გუნიას-მიერ

ადგილების ფასი 40 კაპ. 2 მანეთამდე. მოწაფეთათვის ნახევარი ფასი.

წარმოდგენის შემდეგ ცეკვა
(3—1)

წესდება.

სამღვდელოთა და მედავითნეთა პენსიებისა და ერთ-დროებით შემწეობისა

(შემდეგი *)

IV. ერთ დროებითი შემწეობა.

24) ერთ-დროებითი შემწეობა ენიშნებათ: ა) იმ სამღვდელოთა და მედავითნეთ, რომელნიც 1-დან 5 წლამდე სამსახურის შემდეგ მძიმე და განუკურნებელ ავადმყოფობის გამო (მე-12 მუხლი) სამსახურს თავს ანებებენ, აგრეთვე იმათ, რომელნიც ჯანმრთელობას დაჰკარგავენ 5-დან 10 წლამდე სამსახურის შემდეგ და ამ მიზეზით თანამდებობას თავს დაანებებენ და ბ) ოჯახებს (ქვრივებსა და ობლებს) იმ მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთა, რომელნიც პენსიისათვის დადებულ ვადამდე გარდაიცვლებიან.

25) იმ მღვდელ-მსახურთ და მედავითნეთ, რომელთაც შტატიდან წასვლის დროს უფლება აქვთ, მე-24 მუხლის ძალით, პენსიის მიღებისა, მიეცემათ ერთ-დროებით იმდენი, რაც ერთის წლის პენსიაა. ხოლო იმათ ოჯახებს ერთ-დროებით შემწეობა ეძლევათ სამსახურის წელთა კვალობაზე: ათ წლამდე—ერთის წლის პენსიის ნახევარი, ათ წელს ზევით—ერთის წლის სრული პენსია.

26) იმათ, ვისაც სხვა უწყებისგანა აქვთ პენსია, არა შემთხვევაში არ მიეცემათ ერთ-დროებითი შემწეობა; აგრეთვე იმათ, ვისაც ერთ-დროებითი შემწეობა მიეცემათ, საეპარქიო სამსახურისათვის პენსია აღარ დაენიშნებათ.

27) ერთ-დროებითი შემწეობა ეძლევა მთელ ოჯახს განუყოფელად და შემწეობა ერთსა და იმავე ოჯახს ორჯელ არ შეიძლება მიეცეს. ამიტომ ერთ-დროებითი შემწეობა არ მიეცემათ ოჯახებს იმ გარდაცვალებულ სამღვდელოთა და მედავითნეთა, რომელთაც სამსახურიდან გასვლის დროს მიიღეს შემწეობა, აგრეთვე იმ ქვრივის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ობლებს, რომელმაც (ქვრივმა) წინად მიიღო ერთ-დროებითი შემწეობა.

(შემდეგი იქნება)

ტფილისი

✦ აგერ ერთი კვირაა, რაც ჩვენის დრამატიულ საზოგადოების მხნე გამგეობა შეუდგა სათეატრო დასის შედგენის თადარიგს. გამგეობას განზრახვა აქვს შეადგინოს დიდი დასი და მოიწვიოს ყველა ცოტად თუ ბევრად შესამჩნევი მსახიობი, რომელიც-კი მოღვაწეობს ტფილისსა და ქუთაისში. ეს დიდი დასი ორ კომპლექტათ იქმნება გაყოფილი: ერთი ტფილისში იღვაწებს, მეორე ქუთაისსა და ბათუმს; აგრეთვე კავკასიის ზოგიერთს სხვა ქალაქშიაც.

წარმოდგენები გაიმართება, როგორც შარშან, თვეში ცხრაჯერ: ხუთშაბათობითა და კვირაობით. კვირაობით სახალხო წარმოდგენები იქნება დაკლებულის ფასით. თუ თეატრი არავინ აიღო უიმისოდ, რომ 25 საღამო მაინც დაგვითმოს დრამატიულმა საზოგადოებამ, თეატრის შენობის იჯარადარმაო, მაშინ, მეტი ღონე არ იქნება, საკვირაო წარმოდგენები ხალხისათვის კვირა დილაობით გაიმართება 12—3 საათამდე ნაშუადღევისა.

ესეთის ჩვეულების შემოღება მაინცა და მაინც არც ურიგო იქნება. მდაბიო ხალხი გაერთობა დღისით და საღამოს სახლს მიაშურებს დასასვენებლად და მეორე დილას მუშაობას მხნედ განაგრძობს.

✦ ჩვენ მოგვივიდა ახლად დაბეჭდილი წიგნი—„ანგარიში კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის მოქმედებისა 1900 წლის განმავლობაში“, რომელიც კომიტეტმა წარუდგინა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს მისის კავკასიაში რწმუნებულის ხელით.

✦ ბათუმის ქალაქის თავი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, რომელიც სამსახურის გამო პეტერბურგში იმყოფებოდა, გუშინ ჩამოვიდა ტფილისში.

ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ქ. ბათუმი უწინ ნავთ-სადგურის შემოსავლის ნახევარ-კაპიკიან გადასახადით სარგებლობდა, მაგრამ შემდეგ მთავრობის განკარგულებით ეს შემოსავალი მოესპო ქალაქს, რამაც იგი დიდს გაჭირვებაში ჩააგდო. სხვა წვრილმანთა გარდა, სამი მეტად საჭირო მოთხოვნილება ჰქონდა ქალაქს: ქსენონის შენახვა, წყლის მილის გაყვანა და ჭაობების დაშრობა, მაგრამ ყველა ეს საქმეები უნუგეშო მდგომარეობაში იყო დღემდე მცხოვრებთა ხელმოკლეობის გამო. თავ. ანდრონიკაშვილიც სწორედ ამ საქმეებისათვის იყო წასული პეტერბურგს. ბათუმელთა სასიამოვნოდ, მისი შუამდგომლობა რამდენადმე შეუწყნარებიათ: ქსენონისათვის ერთხანად გადაუდვიათ 35,000 მ.ნ. და კვლავაც დახმარებას შეჰპირებიან (ქალაქი თხოულობდა, რომ ყოველ-წლიურად 17,500 მ. ეძლია ნავთ-სადგურს ამ საქმისათვის), რაიც შეეხება წყლის მილის გაყვანასა და ჭაობების დაშრობას, ამაზედ კიდევ ექნებათ თათბირი მინისტრთა კომიტეტის შემოდგომის სესსიაში და შესაძლებელია, რომ ეს ხარჯებიც ნავთ-სადგურს დააკისრონ, როგორც ქალაქი თხოულობდა.

✦ ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის თავის მოადგილეს: თქვენ მიერ აღძრული თხოვნა, რომ შემოღებულ იქმნას ხარჯის გარდახდა ქალაქში ველოსიპედებითა და ავტომობილებით მოსიარულეებზედ, წარედგინა ფინანსთა სამინისტროსაო.

✦ 25 ივნისს ტფილისის საბაღოსნო სკოლის მოწაფენი, ამა სკოლის გამგის თანხლებით, გაემგზავრნენ მუხრანში საუფლისწულო მამულების დასათვალიერებლად. პირველად მოსწავლეებმა ინახულეს სარდაფი, სადაც ბ-ნმა გამგემ აუხსნა მოსწავლეებს ღვინის შენახვისა და დაყენების გარემოება; შემდეგ მოწაფეთ დაათვალიერეს ვენახი, სადაც უფროსმა გააცნო ვაზის ავადმყოფობა და წესი ვაზის წამლობისა პრაქტიკულად. მოწაფეებმა დაათვალიერეს აგრეთვე ბ-ნ კარაპეტოვის ვენახი, სადაც უწამლეს ავადმყოფ ვაზებს. ბინა მოწაფეებს მუხრანში ყოფნის დროს დაუთმო თ-დმა გ. ე. მუხრან-ბატონმა. პირველ ამ თვისას მოწაფენი დაბრუნდნენ ტფილისში.

✦ ამას წინად ვაუწყეთ მკითხველებს, რომ ექსტრა-ორდინარი პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტისა, ბ-ნი ნ. მარი დაინიშნა ორდინარ პროფესორად ამავე უნივერსიტეტისაო. ახლა გაზ. „Прав. Вѣст.“-ში დაბეჭდილია, რომ საერო განათლების სამინისტროს ბრძანებით მარრი დაინიშნა პეტერბურგის უნივერსიტეტის სომხურ-ქართულ სიტყვიერების ორდინარ პროფესორადაო.

✦ როგორც შევიტყეთ, ძმ. თავართქილაძეთ სტამბა ტფილისში გადმოაქვთ. ამ ჟამად სტამბის მოსათავსებლად მოხერხებულს სახლს ეძებენ პატრონები.

✦ ბ-ნ ექ. ხელაძეს გადაუწყვეტია თავისის სტამბის 30 წლის არსებობის სახსოვრად დაჰბეჭდოს თავის ხარჯით რომელიმე ქართული წიგნი 1200 ეგზ., ისეთი წიგნი, რომელსაც ურჩევენ ს. მგალობლიშვილი, ი. ფერაძე და ა. ღულაძე და ამ წიგნის შემოსავალი გადასდოს ასოთ-ამწყობთა და მბეჭდავთა შემწეობის ფონდის დასაარსებლად. ზემოხსენებულს ლიტერატორებს ნება აქვთ აქ უკვე დაბეჭდილ თხზულებათაგან შეადგინონ ახლად დასაბეჭდი კრებული, ან სხვა რამ ხელ-ნაწერი და დასასტამბავი თხზულება ამოარჩიონ.

✦ ტფილისის სამხატვრო სასწავლებელში მისაღები ეგზამენები იქნება 2 ენკენისთვეს. შესვლის მსურველს უნდა ჰქონდეს გათავებული 2-კლასიან სამოქალაქო სასწავლებლის კურსი. ხნით 13 წლისა ზენაკლები და 17 წლისაზედ მეტი არ უნდა იყოს.

✦ შტაბში დაუჭერიათ ეგზამენები უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში შესასვლელად, სხვათა შორის, ორს ქართველს აფიცერს: თ. ციციშვილს და თ. ანდრონიკაშვილს.

✦ ხორცის საქალაქო დუქნის გამგეთ მოუწვევიათ გამოცდილი მზარეული, რომელიც დაამზადებს დუქანშივე კოტლეტს, როსტბივს, ბივშტექსს და სხვ. საჭმელებს და უკვე დამზადებული გაიყიდება, რასაკვირველია, უმი. ამ საქმეს დღეიდგან შეუდგებიან.

✦ წმ. ნინოს თელავის საქალებო სასწავლებელი აცხადებს, რომ წელს სასწავლებლის მოწაფეთ ხელ-მეორედ გამოსცდიან 24-სა და 26-ს აგვისტოს, ხოლო მისაღები ეგზამენები იქნება 27 და 28 აგვისტოს; სწავლა დაიწყება 2 სექტემბერს. სასწავლებლის პანსიონში შესვლის მსურველმა წელიწადში უნდა გადაიხადოს 190 მ.; სწავლის ფასი-კი 40 მანეთია.

✦ გუშინ, 2 ივლისს, ავლაბრის ხიდიდგან გადავარდა თავის დასახრჩობად ტფილისის მოქალაქე ისმაილ-მეხტი-ოღლი, რომელიც ცოცხალ-მკვდარი ამოათრიეს იქვე მყოფმა მეთევზეებმა იაგორა მეტეშვილმა და იაგორა კოჩაროვმა.

✦ 1 ივლისს, ნორაშენის ქუჩაზედ, სედრაკა შაქაროვს თავს დაესხნენ ღამე ალექსანდრე ციციკოვი, გეურქა ასლანბეკოვი და ალი მამედ-ოღლი; რომელთაც სურდათ ვერცხლის ქამრის შემოხსნა; დამნაშავენი შეიპყრეს და პოლიციის მე-6 განყოფილებაში წარადგინეს.

✦ ორბელიანის ქუჩ. მცხოვრებმა გენერალ-ლეიტენანტის ქვრივმა ბუჭყიაშვილმა განაცხადა, რომ პორტმანე მომპარეს სახლშიო. პორტმანეში 450 მ. ყოფილა. ბრალსა სდებს მათთანვე ლაქიათ ნამყოფს ალექსი ჯავაშვილს, რომელიც ამ დღეებში დაუთხოვნიათ.

✦ ტფილისში 24 თიბათვიდგან 1 მკათათვემდის გადამდებ სენით ავად გამხდარა 4: 1—მუცლის სახადით, 2—წითელათი და ერთიც ხუნაგით.

კრება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა. გუშინ, 2-ს ივლისს, ბ-ნმა სტაროსტამ, ბუღდანოვმა, განაგრძო კრება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა. კრებას მოჰხსენდა ბ-ნ ადამიძის მიერ 27 ივნისის კრების განაჩენი და ზოგიერთის დამატებით ხელ მოწერილ იქმნა. წაკითხულ იქმნა რამდენიმე თხოვნა, როგორც იმათი, ვისაც სურდა შემოსვლა საზოგადოებაში, აგრეთვე იმათი, ვისაც უნდოდა ამორიცხულიყო ამ საზოგადოებიდგან. ეს თხოვნები შეწყნარებულ იქმნა. რადგანაც თხოვნებზედ მომეტებულ ნაწილად არ იყო ბ-ნ სტაროსტის მხრივ აღნიშნული მისი აზრი და განმარტება, ამის გამო სულ ოცამდე თხოვნის გარჩევამ თითქმის ორი საათით დააბანდა კრება. კრებამ დაავალა ბ-ნ ბუღდანოვს, ყოველი თხოვნა შემდეგისათვის ჯერ თვით გაარჩიოს და შემდეგ თავის აზრით წარმოუდგინოს კრებას გარდასაწყვეტად. შემდეგ ამისა, მოხსენდა კრებას დადგენილება კომისიისა ხარჯის აკრების შესახებ ამ წლისათვის. უნდა აიკრიფოს სულზედ თითო მანეთი. კომისიის აზრი მოწონებულ იქმნა და დაევალა ბ-ნ სტაროსტას, რომ დააჩქაროს კომისიის დავალებისამებრ სიის შედგენა ტფილისის მოქალაქეთა. შემდეგ მოხსენდა კრებას ხარჯის ამკრეფ სტაროსტის, ესე იგი ხაზინადრის თხოვნა, რომ მიეცათ მისთვის ხარჯად ნახევარ წლისათვის გარდაწყვეტილი ფული, საკუთრად მისთვის და მის თანაშემწეებისათვის. კომისიის წევრთა ბ-ნ ადამიძის და დანდუროვის განმარტებისამებრ გადადებულ იქმნა ამ საგნის განხილვა იმ დრომდე, ვიდრე კრება განიხილავდეს კომისიის მიერვე შემუშავებულ ინსტრუქციასა ამ ფულის ხარჯვის შესახებ. შემდეგ მოხსენდა კრებას მოწერილობა ბ-ნ გუბერნატორისა სტაროსტის ჯამაგირის შესახებ. ჯამაგირის დანიშვნა თუ არ დანიშვნა კრებამ დაფარულის კენჭის ყრით უნდა გადასწყვიტოსო. ი. ს. ბუღდანოვმა გარდასცა ჯაჭვი თავისს კანდიდატს ბ-ნ ს. ა. დანდუროვს;

---

*) იხილე „ივერია“ № 138

ბ-ნმა დანდუროვმა დადგა ყუთი: მიღებულ იქნას თუ არა წინანდელი დადგენილება, ე. ი. სტაროსტის უჯამაგიროდ სამსახური და ფაიტონის ფულად 300 მანეთი წელიწადში კომისიის მოხსენებისამებრო. კენჭის ყრაში მიიღო მონაწილეობა 31 დამსწრე რწმუნებულმა და გარდასწყვიტა: 16 ხმით წინააღმდეგ 15-ისა არ მიეცეს ჯამაგირი. ბ-ნს ბულდანოვს გამოუცხადეს გადაწყვეტილება უჯამაგიროდ სამსახურის შესახებ. დიდის ხნის სიჩუმის შემდეგ აღელვებით მიჰმართა მან კრებას: „მე ვხედავ, რომ ზოგიერთს რწმუნებულს სურს დავუთმო ჩემი ადგილი ჩემს კანდიდატს ბ-ნ დანდუროვს, მაგრამ მე არ დავანებებ თავს ამ ადგილს, თუმცა მინდოდაო. ვკისრულობ უჯამაგიროდ სამსახურსაო“.—კრება დაიშალა ნაშუაღამევის პირველ საათზედ.

ს. დიდუბელი.

ჩვენებური ამბები

როგორც შევიტყვეთ, სოფ. კასპის ერთ მცხოვრებს შეუძენია 1789 წლის რუსული ვერცხლის მანეთიანი.

—

ქუთაისი. 42 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 2 ხმისა, ამორჩეულ იქმნა დ. ა. ლორთქიფანიძე ქალაქის მოურავად. ჯამაგირად დაენიშნა 3,600 მან. 2,600 მ. ნაცვლად, ამგეობის წევრთ დაენიშნათ 1,500 მან., ვითომ 300 მანეთით მეტი. არჩევანი სხვა თანამდებობის კაცთა გადაიდო 2 ივლისისათვის.

—

ზემო-იმერეთში ძლიერ გავრცელებულია ბოროტ-მოქმედება, ნამეტურ შორაპნის მაზრაში, სადაც დიდ-ძალი ყაჩაღობა დანავარდობს, ეკკლესიებს სტეხენ, ოჯახებს უხტებიან. იპარვენ ცხენს, ძროხას, ღვინოს და სხვას. შორაპნის მაზრაში სოფელ ამაშუკეთში ყაჩაღები შეუცვივდნენ სახლში ადგილობრივ მცხოვრებს ნარიმან ამაშუკელს შუაღამის თორმეტ საათზედ. ყვირილსა და ხმაურობაზე გაეღვიძა მთელს საზოგადოებას და ავაზაკებმა მოასწრეს გაქცევა.

ისევ იმავე სოფელში მცხოვრებ ერთს გლეხს ბამბა წაეღო გასასყიდად დ. ყვირილაში. როდესაც გაეყიდნა და შინ მოდიოდა, გზაზედ ყაჩაღები დახვდნენ, წაართვეს, რაც რამ ფული ჰქონდა, დასჭრეს და გაიქცნენ.

ა. რამინიშვილი.

—

ფოთი. ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმად, აქაურ ნოქრებს ჯერ-ჯერობით ვაჭრების მონიჭებული უქმე დღეებში დილიდგან შუა-დღის პირველ საათის დაწყებამდე თავისუფლება. მაგრამ, სამწუხაროდ, ამასაც გვაკლებს ზოგიერთი ვაჭართაგანი, რომელნიც ამ თავისუფალ დროს თითქმის მუდამ კარებმიხურულ დუქნის წინ ატარებენ, მუშტრებს მალულად კარს უღებენ და დუქანში უშვებენ სავაჭროდ, შემდეგ კარს ისევ მიჰხურავენ და დუქნის წინ სკამზე ჯდებიან. მეორე მუშტარი რომ მოვა, კარს ისევ გამოუღებენ და მუშტარს დუქანში უშვებენ,—და ამ ნაირად ვაჭრობენ ამ ჩვენთვის დასასვენებლად დანიშნულ დროს.

—

ჩვენს ქალაქში პურის ცხობა მარტო სომხების და თათრების ხელშია. სამწუხაროდ, ზოგი მათგანი პურს სუფთად არ აცხობს. ხშირად შეხვდებით ზოგიერთ გამომცხვარს პურში ხან ბუზს, ხან რაღაც ძონძს, ხან ნახშირს და ხან, ვინ იცის—რას. გამომცხვარი პური მთელი დღე მაგიდაზედ უყრიათ და ბუზები ეხვევიან. ნუ-თუ ძნელია მეფურნეებისთვის 8 კაპეიკის კისეია იყიდონ და გამომცხვარს პურს გადააფარონ, თუმცა ისედაც ვალდებულნი არიან. გარდა ამისა, ზოგიერთი მეფურნეები ისეთს დაფლეთილს და ჭუჭყიან ტანსაცმელში გახვეულნი არიან, რომ მათი დანახვაც საზიზღარია.

—

სწორედ მადლობის გამოცხადების ღირსნი არიან აბაშელი ვაჭრები, რომელთაც აქ დაგვიდგეს ნავთის აუზები და ეხლა, ეს მეორედ არის, რაც ნავთი ჩაასხეს და ფუთს ჰყიდიან 1 მ. 5 კაპეიკიდგან 1 მ. 10 კ.-მდე. წინად, როცა ამათ აქ არ ჰქონდათ ნავთი, ჩვენი ვაჭრები ფუთ ნავთში 1 მ. 40 კ. და 1 მ. 60 კ. გვახდევინებდნენ.

ნოქართაგანი.

—

ქვიშხეთი. „კვალის“ № 26 მოთავსებულია პატარა კორესპონდენცია ქვიშხეთის შესახებ. ბ-ნი კორესპონდენტი ამბობს, რომ ქვიშხეთელები არას ცდილობენ მოაგარაკეთა კეთილ-ცხოვრებისათვის, გზები არ უვარგათ, სახლები არ შეკეთებულან, სანოვაგე დუქნები არა აქვთ და მხოლოდ ჰაერით უნდა ასაზრდოვონ მოაგარაკენიო.

ამის დამწერმა ჩვენ მოგვაგონა ის ახირებული ბატონი, რომელსაც ძალიან უყვარს და აფასებს თავისს ერთგულს მოსამსახურეს, მაგრამ არას დროს არ აქებს და კარგს სიტყვას არ გააგონებს, ვითომდა არ გაფუჭდეს ჩემი ქებითაო. ვგონებ ან ასე მოსვლია ბ-ნს კორესპონდენტს, ან რაიმე მტრობა ჰქონია ქვიშხეთისადმი, რადგან ძალიან გადაჭარბებული და უსამართლო შეხედულობა გამოუთქვამს მის შესახებ. საზოგადოდ, ჩვენში სოფლიდგან სოფლამდე ცუდი გზებია,—ეს ჭირი ქვიშხეთსა და მის ახლო-მახლო სოფლებსაც ახლავს, ამას ლაპარაკი არ უნდა, მაგრამ ისიც უნდა მოეხსენებოდეს კორესპონდენტს, რომ მარტო ქვიშხეთელები ვერას გააწყობენ ამ შემთხვევაში, თუ პოლიცია არ ჩაერია ამ საქმეში. ის გზები-კი, რომლებიც ქვიშხეთს აერთებენ სადგურებთან, საიდანც მისვლა-მოსვლა აქვთ მოაგარაკეთ—კარგები არიან და არას დროს ამაზედ საჩივარი მათგან არ გაგვიგონია.

რაც შეეხება სახლებს, რომელთა სიძველეს კორესპონდენტი გვაცნობებს, იმას მოგახსენებთ, რომ მას ეტყობა შორიდგან, გზათ გავლილს, მოუკრავს სახლებისათვის თვალი და წვიმისაგან ფერ-გადაყრილი ყავრები ძველებად მოსჩვენებია, თორემ უნდა მოგახსენოთ, ვერც ერთს სახლს, რომელიც-კი ქირავდება ქვიშხეთში, ვერ ნახავთ, რომ რვა-ცხრა წელიწადზედ მეტს არსებობდეს და, მაშასადამე, ისინი უფრო ახლებათ ჩაითვლებიან.

არ ვიტყვით, რომ ქვიშხეთის აგარაკები კეთილ-განწყობილნი იყვნენ, უნაკლულონი, სამკვიდროთ აშენებულნი, მაგრამ არც იმ სურათით არიან, როგორც კორესპონდენტი ამტკიცებს. ქვიშხეთელებსაც ესმით კარგად, რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგად მოწყობილ აგარაკებს, მაგრამ ბ. კორესპონდენტს დაჰვიწყებია ქვიშხეთის მცხოვრებთა სიღარიბე. ისიც სიმართლეს მოკლებულია, ვითომ არავითარი წინმსვლელობა არ ეტყობოდეს ქვიშხეთსა. მაგალითად, აქამდინ ერთი პატარა სასანოვაგე დუქნის მეტი არ იყო და ეხლა-კი ორი გვარიანი დუქანია და ერთი კაპეიკით მეტს თუ იღებენ მყიდველებისაგან გირვანქაში. ამას გარდა, სურამ-ხაშურიდგანაც დადიან პატარა ვაჭრები და აწოდებენ მსურველთ იმას, რაც, ქვიშხეთში არ იშოვება. ასე რომ, საზრდოს შესახებ უზრუნველყოფილნი არიან მოაგარაკენი.

N.

—

ხარაგაულის საბოქაულო. 25 ივნისს ჩვენი ბოქაული ბ. ღოღობერიძე ოდესაში წავიდა. მის ადგილას მობრძანდა დ. საჩხერეთში ბოქაულად ნამყოფი ბ. გაგუა.

ამ კვირაში სოფ. სალაძილეში (ხარაგაულის საზოგადოებაა) ყაჩაღები თავს დაეცნენ მონოზანს სალომე კიკნაძისას. წაღებით ბევრი არა წაუღიათ-რა. ბოროტ-განმზრახველნი მეორე დღეს ბელაგორის სადგურზედ შეიპყრეს ჟანდარმებმა და წარუდგინეს ადგილობრივ ბოქაულს. ეს ვაჟბატონები აქაური მცხოვრებლები აღმოჩნდნენ.

ამავე კვირაში, სოფელ ვახანში, გლეხს ვანო გუდაძეს, დიდი მთავრის ნიკოლოოზ მიხეილის ძის ტყის მცველი ოსი მოუკლავს. (ეს ტყე ბორჯომიდან ვახანამდის უწევს) როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, მკვლელობა ასრე მომხდარა: განსვენებულს ოსს გუდაძე ტყის გარეთ უნახავს ხელ-ცარიელი. მერმე გაუბრიყვებია და უთქვამს: რაღა ვერაფერი მოგიკლავს, ამ ტყეში შეგიყვან და, რაც გინდა, ის მოჰკალი, მე თითონ მოგეხმარებიო. ესეც თანახმა გამხდარა და შესულან ტყეში. როცა იქ მისულან, ტყის მცველს თოფის წართმევა დაუპირებია. მოსვლიათ ჩხუბი და ამ ჩხუბში ერთი იმათგანი, სახელდობრ ტყის მცველი ოსი მსხვერპლად შექმნილა. მკვლელი ვ. გუდაძე უკვე შეიპყრეს.

ჩვენის სამკითხველოს შესახებ მოგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ სამი-ოთხი თვე არის, რაც მოგვივიდა ნებართვა მის გახსნისა, მაგრამ საქმის დასაგვირგვინებლად ჯერ აქაური მოღვაწენი ვერ შევკრიბეთ.

მათი ყოვლად-უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი ამ ორს დღეში გაათავებს რევიზიას. როგორც იმის სიტყვებიდგანა სჩანს, დიდად კმაყოფილი დარჩენილა ყველა იმისა, რაც ნახა ჩვენს სოფლებში. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მათ მობრძანებას და სიამოვნებით ისმენდა მის ლმობიერს ქადაგება-მოძღვრებას.

ნეოფიტე.

—

თელავი. ვისაც თელავსა და სიღნაღს გამგზავრების სურვილი მოუვა, უნდა უეჭველად თან სომხური ენის თარჯიმანი წაიყვანოს. თორემ ისე გაივლით ას-ორას ვერსსა, რომ ხმას ვერავის გასცემ ვერც რუსულად, ვერც ქართულად. წარმოიდგინეთ, ტფილისიდამ დაწყებული თელავსა და სიღნაღამდის ყოველს სტანციაში იამშჩიკები, სტაროსტები და მოსამსახურეები სულ ახალ-მოსული სომხები არიან, რომელთაც არც რუსული იციან, არც ქართული; რომ უთხრა სტაქანი მოიტანე, წყალი დამალევინეო, ჩაის მოგიტანენ; კუჩერს რომ უთხრა, დააყენე გული მიღონდებაო, ის ცხენებს დაუშენს და სულს ამოგართმევს. თუ ამ გვარი იამშჩიკის შემწეობით ტფილისს ჩამობრძანდით, ქვეყანა უნდა შეუაროთ, რომ გააგებინოთ, საით უნდა მიაბრუნოს ცხენები, მარჯვნივ თუ მარცხნივ, რომ თქვენს სახლში მიბრძანდეთ.

უბედურება არ არის ამისთანა ამბავი? რა გაჭირვება იყო ამისთანა ახირებული სტანციებში ქართველებისა და რუსების გაწყვეტისა?

გარდა ამისა, ვის გაუგონია სომხის იამშჩიკობა? ეს ისეთი ხელობაა, რომ რამდენიმე თაობა უნდა გაიაროს, რომ ოჯახში კარგი იამშჩიკი გამოვიდეს; ეს მამა-ცხონებული სომხები-კი გუშინ კარაკლისიდამ მოსულან და დღეს პირდაპირ იამშჩიკებათა დგებიან. მოდი და ამისთანა მეეტლეს მიანდე შენი თავი რამდენიმე დღის განმავლობაში; მე სწორედ მოგახსენოთ სული კბილით მეჭირა მანამდის სტანციას მივახწევდი; ისე საცოდავათ აპარტყუნებენ ხელებს, რომ გეგონება ან აქ გადაგჩეხენ, ან იქათ და აკი სჩეხავენ კიდეც.

განა, შესაძლებელია სხვაგან სადმე, გარდა ჩვენის ქვეყნისა, რომ ფულები აძლიოთ და თქვენმა მეეტლემ არ იცოდეს არც ერთი ენა, რომელიც ადგილობრივმა მცხოვრებელმა იცის? რას იტყოდნენ, რომ ერთ დღეს ეჩმიაძინში მეეტლეები ქართველები იყვნენ?

ვგონებთ, მაზრის უფროსებს შეუძლიანთ ამ უწესოებას ყურადღება მიაქციონ და იქნება მათი შემწეობით თარჯიმანით ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობა აღარ დაგვჭირდეს.

ი. ს. ჯ.

უცხოეთი

საფრანგეთი. პარიჟიდგან იტყობიან, რომ ადგილობრივ სადიპლომატო წრეებში ხმა დადის, ვითომც რუსეთში მყოფს საფრანგეთის ელჩს გრაფ მონტებელლოს მალე გადააყენებენ და მის ადგილზედ ადმირალ ჟერვეს დანიშნავენო.

— ამ დღეებში გამომძიებელმა ლეიდემ მიიღო ხელმოუწერელი ბარათი, რომელშიაც ატყობინებდნენ მას, რომ ემბერის ოჯახობა პარიჟშია და გარეშე საქმეთა დეპარტამენტის დირექტორ გავარრისას იმალებაო (გავარრი ელჩად ნამყოფიცაა). იმის მაგივრად, რომ საიდუმლო განკარგულება მოეხდინა და დარწმუნებულიყო წერილის სიმართლეში, გამომძიებელმა შეჰყარა პოლიციის მოხელენი, წაიყვანა თან უფროსი პროკურორი და ღამით მიიჭრა გავარრისას. გაჩხრეკის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ემბერის ოჯახს გზათაც-კი არაოდეს არ გაუვლია მასთან; მიუხედავად ამისა, ყოფილი ელჩი მაინც წამოიყვანეს „Palais de Justice“-ში, სადაც მას ჩამოართვეს ჩვენება. მხოლოდ მაშინ დარწმუნდნენ, რომ დიდი შეცდომა მოუვიდათ და ჩამოჰყარეს ყურები; გავარრი იმ წამსვე ბოდიშით გაანთავისუფლეს, მაგრამ საქმე ამით არ გათავდა: გარეშე საქმეთა მინისტრ დელკასსემ მინისტრთა საბჭოში პროტესტი განაცხადა სასამართლოს მოხელეთა წინააღმდეგ; მათ დიდი ქარაფშუტობა ჩაიდინეს, რომ რაღაც უაზრო ხელმოუწერელ ბარათს ერწმუნენ და ერთს ჩემს უმაღლეს მოხელეთაგანს ასეთი შეურაცხყოფა მიაყენესო.

ინგლისი. ბალფურმა განაცხადა პალატაში, რომ სასკოლო ბილლი ხანგრძლივს კამათს გამოიწვევს და საჭიროა შემოდგომის სესსია მოვიწვიოთო. სხდომები მარიამობისთვის დამდეგს შესწყდება და შუა გიორგობისთვეში ხელახლად დაიწყება.

როგორც „Times“-ი იუწყება, მთავრობას განუზრახავს, რომ სამერმისოდ აღარ გადასდოს დამტკიცება სკოლის კანონ-პროექტისა, ლონდონის წყლის დაკმაყოფილებისა და თორმეტიოდე წვრილმან პროექტისა, რომელთაც უფრო ადგილობრივი ინტერესი აქვთ; ამ საქმეების გადადება მაინც არ მოხერხდება, თუ გინდ რომ სესსია ახალ წლამდე გაჭიანურდესო. ორშაბათობით მხოლოდ სკოლის საქმეებზედ ექნებათ მსჯელობა; ხუთშაბათობით—ხარჯთ-აღრიცხვაზედ და პარასკევობით დანარჩენ კანონ-პროექტებზედ.

ავსტრია-უნგრეთი. მინისტრ-პრეზიდენტები, კერბერი და სელლი, ახლო მომავალში ისევ შეიყრებიან და შეთანხმების შესახებ ბჭობა-თათბირს განაგრძობენ. დანამდვილებით კი ჯერ არ იციან, სად ან როდის მოხდება მათი შეყრა.

დანია. როგორც „Berl. Tageb.“-ს ატყობინებენ კოპენჰაგენიდან, ნეიტრალიტეტის სასარგებლოდ მოძრაობამ მაგრად მოიკიდა ფეხი დანიაშიო. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის „მშვიდობიანობის მეგობართა კავშირს“. უკანასკნელს წლიურს კრებაზედ „მშვიდობიანობის მეგობართ“ ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც „კავშირის“ დეპუტაციამ ფოლკსტინგის მინისტრ-პრეზიდენტს წარუდგინა. კავშირი სთხოვს მთავრობასა და პარლამენტს, რომ მთავრობამ ყოველივე ღონისძიება იხმაროს, რათა დანიამ თუ შესაძლებელი იქნება, ორ ჩრდილოეთის სახელმწიფოსთან ერთად, საქვეყნოდ აღიაროს, რომ პრინციპიალურად და სამუდამოდ ნეიტრალად აცხადებს თავის თავსაო.

ავსტრალია. როგორც „Berl. Loc. Anz.“-ი იუწყება, ავსტრალიის მოკავშირეთა მთავრობას გადაუწყვეტია, რომ არ შეუერთდეს ბრიუსელის შაქრის კონვენციას; ეს ამბავი ჩემბერლენსაც აწონებს.

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

სიმონა ბლუჯიაშვილის თავ-გადასავალი

(სურათები წარსულის ცხოვრებისა)

XI*)

ბევრის სირბილისაგან მოფეთქილსა და უძილობისაგან დასუსტებულს ისე ჩამძინებოდა, როგორც მკვდარსა. ვითომ ჩვენსა ვიყავი და ვესაუბრებოდი ჩემ დედ-მამას და პატარა დას ვუამბობდი ჩემ თავ-გადასავალსა. დედაჩემი გულში მიკრავდა ალერსითა და მოსდიოდა თვალებზედ სიხარულის ცრემლები. მამა ჩემი მუშტს იცემდა გულშია და იმუქრებოდა ბატონზედა, ჩემი პატარა და ფოფო სიხარულით ყელზედ მეხვეოდა და მკოცნიდა, მერე ვითომ ჩემ დასთან ერთად წავედით ჩვენს ვენახში და დავუწყეთ ვარდებს კრეფა; სიხარულით აღფრთოვანებულნი გადავდიოდით ერთი ბუჩქიდგან მეორე ბუჩქზე და თანდათან ვებმოდით ეკლოვან ვარდებში. პატარა ხანს უკან, მოვიდა ვითომ მამაჩემიცა და დაუწყო ვენახს რწყვა; წყალმა ჩხრიალით დაიწყო დენა პატარა გადასაგდებებზე და მიგვცა უფრო ტკბილს, რაღაც გარინდულ ძილს. სრულს ნეტარებაში მყოფნი, უფრო გავებით ყრუ, მიუდგომელ ადგილებში და თანდათან დავშორდით ერთმანეთს; ამ მარტო დარჩენაზედ ძილში უცებ შემიპყრო რაღაცა ძრწოლამ, მივიხედ-მოვიხედე და ჩემს გვერდზედ ბევრი დავინახე წყლის ჩახრიალსთან. აქ საშინლად შემკრთალმა გავაჭყიტე თვალები და ვნახე, ბნელაში ვეგდე. უცბად ბურანში მყოფს მომესმა რიღასიც ფეხის ხმა, მაგრამ ბნელაში არა ჩანდა-რა; ბოლოს მან დაიწყო ჩემს ახლო გარშემო სუნსული. მაგრამ ვითომ ვერა გავიგე-რა.—რა ვქნა, რა უნდა იყოს?—ვამბობ ჩუმათა და თან გული მიკანკალებს შიშითა, მერე ისე ახლო მოვიდა ის რაღაცა იყო, რომ ჩემი ხელი უცაბედათ მოხვდა იმის ბალანსა.—ვაიმე, დათვი-მეთქი! — შევყვირე უცებ საშინლათა და დავეცი ძირს გულ-შემოყრილი. ამ ყვირილზე გულ-გახეთქილი სახლის პატრონები გამოცვივდნენ ნამძინარევნი და შეექნათ ერთი ამბავი.—რა ამბავია?—რა მოხდა?—რა იყო?—ეკითხებოდნენ ისინი ერთმანეთს, და თან პერანგიანი სანთლით ხელში, ათვალიერებდნენ სახლის გარეშემოს, მაგრამ მე მაინც ვერ მიპოვნეს, იმიტომ რომ, რაკი მოველ გონებაზედა, ისევ გავნაბე სული, რადგან ადამიანებისა უფრო მეშინოდა, ვიდრე სხვა რამისა. ბოლოს, რაკი ვერა ჰნახეს-რა, ისევ შევიდნენ სახლში და ჩაჰკეტეს მაგრა კარი; ჩემი ყვირილი მიაწერეს ავის სულის წვევას.

— რო გეუბნები, ჩვენს სახლს გარედან ძეძვის ეკლები გაუკეთე-მეთქი, რატო არა გჯერა, რომ ეშმაკებით სავსეა ეს ოხერი უბანი,—ეჩხუბებოდა ცოლი ქმარსა.

— ეშმაკი-კი არა! ალბათ ვისიმე ბავშვი მოიტაცა ვინმე ავაზაკმა, ან სხვა რამ ხმა იყო, თორე, ეშმაკს რა უნდა ამ ქალაქ ალაგას?—ეუბნებოდა ქმარი.

— შე, ოხერო, ქალაქ ალაგას არის შენი სახლი?! ამ ვერანა განაპირას რომ გადმოკარგულხარ, ამ ვერის ხრამში, ხომ ჰხედამ გარადოვები აქეთ არც-კი ჰხვდებიან, ყურს არ უგდებენ აქაურობას; ისე ღამე არ იქნება, საწყალი ბავშვები არ დამიწოკდნენ,—ბუზღუნებდა კიდევ ცოლი.

ამასობაში მე შიშმა ოდნავ გადამიარა და პურიც მამშივნოდა. მოვუსვი ხელი ჩემ ძველ ხელსახოცს, რომელშიაც პური მქონდა გამოკრული, მეტივეებმა რომ მომცეს, ვნახე აღარ იყო, ვაიმე, ვთქვი და დავუწყე ძებნა ჩემს გარშემო. ხვალ მინდოდა იმ პურით იოლათ წასვლა და, დახე, ახლა რაღა ვჭამო?—ვამბობდი კიდევ გულ-ნატკენი. ამ დროს ბევრის მოუსვენრობის შემდეგ ძლივს გარშემო მთებიდამ აიკრიფა ღამის ბურუსი და აღმოსავლეთის ცის კიდურზედ ნელ-ნელა გამოჩნდა მტრედის ფერი სინათლე. მაშინ დავინახე ერთი სქელ-ბანჯგვლიანი ძაღლი, რომელიც იქვე ახლო დაძუნძულებდა და ხელსახოცის ნახევებიც იქვე ეყარა. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ პური იმას მოეპარა და დათვიც ისა მგონებოდა. ვინ იცის, ჩემზე მშიერი ის იყო, ვიფიქრე გუნებაში. მაგრამ მე რაღა ვჭამო?—მიწიწინებდა გული.

პატარა ხანს უკან დარბოდნენ დილის სიბნელეში მოჩვენება-აჩრდილებივით მეფარნეები და აქრობდნენ ფარნებსა.

უნებურად წამოვხტი და გავწიე პირდაპირ ოლგას ქუჩაზედ, გავწიე ისე, თითქო დაბარებული არისო.

XII

კარგა მანძილის გავლის შემდეგ მზე შუბის წვერად იყო ამართული და მე უკვე ქალაქის პირველ ქუჩის—„გალავინსკის“ თავს ვადეგ „რაზგონის“ ფოსტასთან.

უცებ ბურანში მყოფი გამომარკვია ერთის სოფლელი ძაღლის წკავ-წკავმა, რომელიც დაჰკარგოდა პატრონსა და რომელსაც დასდევდნენ პოლიციელები ქალაქიდგან განსადევნად. ვინ იცის, რამდენის ხნის მშიერიც იყო!

— საწყალი ძაღლი!—ვსთქვი გულში, ჩემზე უარესი გზა-დაკარგული ეგ არის და თან ასე სასტიკად დევნილიცა. მე ენა მაინცა მაქვს, ის მაგ სიკეთესაც მოკლებულია. პირუტყვის შებრალება სად არის, თორემ ასე არ დაუწყებდნენ დევნასა-მეთქი, ვამბობდი გულში. გავსცდი ამ სცენას და დამიწყო გულმა კითხვა, თუ სად მივდივარ, რომ მივდივარ? მაგრამ ეს კითხვა კითხვათ რჩებოდა და კვალად განვაგრძობდი გზას, ჩემდა-უნებურად, რადგან ქალაქის სილამაზე და ათასი რამის ცქერა, რაც მე ჩემს დღეში არ მენახა, მიზიდავდა წინა და მივყავნდი ჩემს ბედს... სად? მე თვითონაც არ ვიცოდი.

აგერ მიველ თეატრის დიდ შენობასთან და უცებ შევდექი. იმისმა სილამაზემ და სიდიდემ გამაკვირვა და ჩამაფიქრა. რავდენი უბინაოა და ეს-კი, ალბად რაიმე უფრო დიდებულ საქმისთვის დაუქმებულა-მეთქი.

წავედქ კიდევ წინ და კვლავ შევჩერდი. სასახლესთან პოლიციის კაცები სასტიკად ეკიდებოდნენ მუშა ხალხს და უფრო-კი ქუჩის მუშებს, რომლებსაც დაჰგვიანებოდათ პროსპექტის დაგვა-დაწმენდა და აჩქარებდნენ.

ბულვარზე ხალხი თანდათან რიცხვმრავლდებოდა. ქალაქმა გაიღვიძა და თითქო გაცოცხლდა. ბოლოს ყოველივე აჭრელდა, აფერადდა, მოისმა ეტლების გრიალი. სხვა-და-სხვა ჯურის კაცთა დაიწყეს მიმოსვლა, გაივსო მიდამო, თითქო ყველას საქმე ჰქონდა, თითქო ყველა თავისებურად იქცეოდა, ისწრაფოდა; „კავალერს“ „დამა“ ხელში ეჭირა, აგრეთვე „დამას“, „კავალერი“, პრანჭვა-გრეხა და სწრაფი ბაასი წარმოადგენდა უფრო ჟრიამულს. ბოლოს ყოველივე სწრაფი შეიქმნა ჩემთვის არეული, გაურკვეველი; დამეხა თავ-ბრუ, ამიჭრელდა თვალები; ასე მეგონა, ერთი რაღაც არა-ჩვეულებრივი ამბავია ქალაქის თავსა და იყრებიან-მეთქი. მინდოდა მეკითხნა ვისთვისმე, რომ გამეგო, რა ამბავი იყო, მაგრამ იქ ჩემი ტოლი ვერავინა ვნახე. მერმე თანდათან შევეჩვიე გაურკვეველ ჟრიამულს და ნელ-ნელა გამოვერკვიე ბუზანკალივით დახვეულ ფიქრებიდგან; მივხვდი, რომ ქალაქი სოფლიდგან იყო წარმომდგარი და განირჩეოდა სოფლისაგან, სხვათა შორის, ამ არეულობითა და ჟრიამულით.

ბოლოს, როგორც იყო, გავცდი სასახლესაც და მივედი ქარვასლასთან. აქ ჯერ ისევ დილით შეყრილიყვნენ რამდენსამე ჯგუფად სხვა-და-სხვა წოდების ხალხი, და ერთ მხარეს ისეთნიც, სადაც მეც შემეძლო თავისუფლად დგომა.

ისინი იყვნენ სახლში მოსამსახურენი, „ლაქიანი“, „პოვარნი“, ანუ საზოგადოდ მოჯამაგირენი. ლაპარაკობდნენ თავიანთ „ბატონხაზეინებზედ“ და ჰქონდათ ბაასი თავის სამსახურობის სვეზე.

მივედი მეცა და დავდექი შეუნიშნავად ორის იმერელის მახლობლად, რომელნიც ცოტა ხალხის მოშორებით იდგნენ, ტელეგრაფის ბოძთან და ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

— კაცო, რავაც ჯამაგირი მერგო, მთლა სოფელშიდ გავგზავნე და მეც ქე ბინიდამ გამოველ,—ეუბნებოდა ერთი მეორესა.

— ჩემი არ იყვეს, ქე უბინოთ დავრჩი, და ეს ერთი კვირაა სხვის ფულით მივდივარ იოლად, აწი აღარც-კი მენდობიან, თვარა...

— რავა არ გენდობიან, შე კაცო, ნაცნობებია.

— შენ ქე რა გიჭირს, ერთი ძმა „ხარშოვნიკთანა გყვს და მეორე—მეიდნის მუშაა, რავა ემოწ[illegible] ბედს? მე ვინ სად გამა[illegible]

---

*) იხ. „ივერია“ № 136.

სხვა-და-სხვა წერილები

4 ივლისს, 1492 წ.

ტფილისი. ისნის სასახლე განათებულია და მისი სარკმლები გალამბრებული. მეფე მოელის კათალიკოზს, ეპისკოპოსებს, დიდებულთ—სულხანს, მერაბს, ქავთარს, ჯავახს, ბარათაშვილებს.

მოვიდნენ წვეულნი და რჩეულნი. დარბაზს დასხდნენ პატრონ-ყმანი. დაიწყეს ბჭობა და იმის აება, თუ ქართლს ვით მოჰხდა განდგომილება.

მეფე*).

კათალიკოზო და ჩვენო მამათ-მთავარო, გვაკურთხე და დაგვლოცე.

კათალიკოზი აზრამ.

გაკურთხოსთ ღმერთმან, ქრისტე უფალმან, მისმა ჯვარმან და სვეტიცხოველმან.

მეფე.

მამათმთავარო მშვიდო და ბრძენო, სასაუბარო მსურს მოგახსენო. ხელის უფალნო, თქვენც ისმინეთ, სიტყვა ჩემი განსაჯეთ. ქართლი უნუგეშო და უკულმართს ყოფაშია, განდგა იმერი და კახ-ჰერეთი. აღარ გვმორჩილობს სამცხის მთავარი. იქმნა თავადად მეგრელთ დადიან და სვანთა პატრონად დადეშკელიან. შარვაშიძეც განშორდა ქართლს, მეფობა ჰსურდა გურიელს. რაღა ვარ დღეს მე, ქართველთა მეფე?! დიდი ხანი არ არის, ზარი და ზათქი ჩვენი გაისმოდა დასავლეთიდგან ჩრდილოეთამდის. ვმუსრავდით მოსეულს მტრებს გმირულად და ვიცავდით ჩვენს თავისუფლებას. აწ-ღა დავკნინდით ბრიყვთ ორგულობით და დავუძლურდით მთავართ განდგომილებით. რა ეშველება საქართველოს, რით ეწამლება ჩვენს სამშობლოს? განვბჭოთ ეს კითხვა ერთად, ძმურადა.

კათალიკოზი.

საქართველოს მაკურთხეველი მოგახსენებს შენ, მეფევ რჩეულო, და შენც, ბრწყინვალე კრებულო. მეფეო, სჩივით თქვენს დაკნინებას, მწყემსნიც ვჩივით საყდრის დამცრობას. დედა საყდარს ძირი ეთხრება, ცისა სადარს საჭე ეხრება. მოგახსენებათ იმერთ ნაქმარი: ნინოს დროითგან მაკურთხეველი, მცხეთის ტახტი ჩვენში უფლობდა და კვართის ძალი გვფარავდა. აწ-ღა იმერთა **იმძლავრეს. ბაგრატ მეფემ იხმო** მღვდელნი, შეიყარნენ ქუთაისს სვანნი, ოდიშარნი, აფხაზ-გურულნი, კვართი უარჰყვეს, საკუთარი კათალიკოზი დაისვეს. განდგენ თვით მესხნიც და თვისი საყდარი დაუმორჩილეს აწყვერელს და ეს-კი ანტიოქიის პატრიარქს. ახნიც გაგვიორგულდნენ, ჩვენს ნაკურთხს ოავერდელს დაუმორჩილნენ. ყველა ამას უნვა უნდების. ესრეთი განდგომილება ხიერო შვილს აგონებს: ვინც გაზარდა, ის მგმობელს, ვინც არჩენდა, იმის მწყეველს. ვგლოვობ ჩვენს ყოფას, მეფევ ძლიერო და ბჭევ მართლიერო.

მეფე.

მრავალ არს ჭირი, მამავ ხცოვანო, მწყემსნო და ძმანო. ბარათაშვილო, მოვისმინე სიტყვა შენი.

სულხან ბარათაშვილი.

მრავალ ჟამიერ სუფევდეს ტახტი. წმიდას ყანას ღვარძლი მორევია. სძებნეთ ამ ღვარძლის მთესველი, დათრგუნეთ და გასრისეთ განზე განმდგომი და ქვეყნის მაშფოთებელი; მადლს მოაკლდება ბოროტი მტერი და გაძლიერდება ჩვენი ივერი.

ჯავარი ჯავახიშვილი

მოსაწონია, სულხან, შენი ბრძანება. ხმალმა უნდა გადასჭრას დღეს სამართალი და ბოლო მოუღოს სამშობლოს მაშფოთარს და მოღალატეს.

ქავთარ ჯავახიშვილი.

მართალს იტყვის ქავთარი. ხმალი გაარჩევს, ვინ ადგას სწორს გზას. შევკრიბოთ ჯარი, მივესხნეთ მტერს და ამოვჟლიტოთ, ვით ჭიანჭველთა გროი.

ერთი ეპისკოპოსთაგანი.

ქრისტეს მსახური ბრძოლას ვერ გირჩევთ. ვინ არის მტერი, ვის ხოცვა-ჟლეტას გვახარებთ? იგი უსჯულო არ არის, ჩვენი ღვიძლი ძმაა, ქართლოსის შვილი!

ქაიხოსრო თურმანიძე.

მწყემსო კეთილო, გვახსოვს ბრწყინვალე მეფე გიორგი, რომელმაც საშვილიშვილო საქმე ჰქმნა: ცივის მთაზედ ურჩნი და ორგულნი შეჰყარა და ანაზდაზედ თავები გააყრევინა. ქვეყანას მისცა შვება და ლხენა. ამ ნეტარს მეფეს ჩვენ ყველანი ვაქებ-ვადიდებთ. და ჩვენც იმასავით უნდა მოვიქცეთ, რომ ქვეყანა გაძლიერდეს.

ამოსაწყვეტ-ამოსაგდები ბევრი არ არის, ქვეყნის ამრევი მხოლოდ მთავრობაა. ბატონი არის ტახტის ორგული, მგმობელი საყდრის, ლალი, ავგული. რაკი გასუქდება ბატონი, ხევზედ ერისთაობას აღარ კადრულობს, გამთავრებასა და გამეფებას ელმის.

ერთი მთავართაგანი (რისხვით).

შესდეგ, უგვარო თურმანიძეო. მეფევ, განაძე ეგ თავხედი, ჩვენს აღწყვეტას აქ ქადაგებს.

ქაიხოსრო თურმანიძე.

გლეხთ ნუ დასცინი, ბრწყინვალე მთავარო, უგვარობა დასაცინი სულაც არ არის. ყველა კაცი გლეხად გაჩენილა და თუ გაბრწყინვებულა, გაბრწყინვებულა იმავ გლეხებისაგან. კაცი თიხაა ხრწნადი, გინდა იყოს გლახა, გინდა მთავარი. ქრისტეს გაჩენილი ყველა სწორია. მე არ ვამხილებ ყველა მთავრებს, მათშიაც ურევიან ქვეყნისა და მეფის ერთგულნი. შეურაცხყოფას არვის ვაყენებ, ჩამომავლობას ნურც შენ მიგინებ.

მეფე.

გვარიშვილობის ხსენება ნუ იქმნების?!

უპირველესი მთავარი.

ბევრიც იუბნოს თურმანიძემ, მე არ ვინაღვლი. დღეს ჩვენ არ გვარგებს ბრძოლა. ვინც განდგენ, საკუთარი მთავრები და მფლობელები დაიყენეს, მათ ჰმორჩილობენ და ერთგულობენ.*) თუ ვიწყებთ ბრძოლას, უმეტესად ავრევთ ქვეყანას. ეს არის სიტყვა ჩემი, მეფის უერთგულეს მონისა.

მეფე.

შინაურს მტერს მოვერეოდით, თუ გარეშე მტერიც არ გვაწუხებდეს. აქეთ გაძლიერდა სპარსი, იქით ოსმალი, ამათ აიოხრეს სომხეთი, იმათ კლარჯეთი. მტერი გვაწვება ორივე მხრიდგან. მტკიცე ერთობა ორივეს შეგვამუსრვინებდა, გარნა ვის ესმის ეს, ვინ დაგიდევს, გარდა პირად სარგებლობისა, საქვეყნო სარგებლობას!

კათალიკოზი.

ჭეშმარიტად, ძმობა მადლია ძლევის მნიჭველი.

მეფე.

სპარსი რომ შემოგვება, დავგზავნე კაცნი და მოვიწვიე შველად კახნი და მოუწოდე იმერთა, გარნა უარ-ჰყვეს ჩვენი თხოვნა და ვდრება.

—

ბევრი არჩიეს, იუბნეს და გადასწყვიტეს: რადგან იმერნი ამერს მოშორდნენ, კახნი, სამცხელნიც გაეყარნენ და აირჩიეს საკუთარი მეფე-მთავარნი, ამიტომ მათთან ბრძოლას დღეს ჩვენ უარ-ვყოფთ, მათთან კრტიმლვას საჭიროდ არ ვსცნობთ, ვინაიდგან მრე თუ ვექმნეთ ერთსა, განა მეორე მოგვცემს ნებასა? ვუცადოთ ჟამს, კვლავ, ეგების, ვიხილოთ საქართველოს გაერთიანება**).

410 წელმა განვლო მას აქეთ და დღეს მხოლოდ გვედირსა ძმათა გაერთიანება. ღმერთმა ქმნას, რომ ეს ძმობა აღარ ყოფილიყოს დარღვეული ამიერიდგან მიუკუნისამდე.

ბერი.

---

*) კონსტანტინე III გიორგის-ძე (1464—1505). ამან „შემოიკრიბა კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი თვისნი ტფილისს და განიზრახვიდა: თუ რაჲ ჰყონ განდგომილებისათვის ქვეყანათა და ვითარ მოაგონ კვალად მეფობასავე თვისსა! (ქ. ცხ., ტ. II, გვ. 15).

*) „მაშინ დიდებულნი იტყოდნენ: ვინაიდგან მტკიცედ სდგან ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთათა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგირ სამცხელნი, ამისათვის არა გაგიზრახავთ ბრძოლასა. რამეთუ თუმცა მერე ვექმნნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა“ (იქვე).

**) „ვაცადოთ ჟამი, უკეთუ კვალად აგოს ღმერთმან მეფობასავე შენსა“! (იქვე). ასრე არიგებდნენ მეფეს გაონავრებული მთავრები და მანც, „იხილა-რა ესე ვითარება თვისთაგანცა, აღირჩია მშვიდობა“. მძლავრი და თვითმპყრობელი მეფე რა ხელსაყრელი იყო მათთვის, ვინც იყო არა თუ მარტო თავადი, არამედ მთავარიც!

ხმა შორიდგან

(დიდად საჭირო საქმის გამო)

ცნობილს მკვლევარს ქართულის ენისას ბ. პეტრე მირიანაშვილს ჩინებული აზრი მოსვლია. მე მოგახსენებთ მეგრულ, ჭანურ და სვანურ სიტყვიერების ძეგლთა შეკრებაზე, რისთვისაც იწვევს იგი საზოგადოებას თავისს წერილში: „დიდად საჭირო საქმე“ („ივ.“ № 121,1902 წ.)

ქართულის ენის შესწავლა საფუძვლიანად შეუძლებელია, თუ არ შევისწავლეთ მისი კილოები, ე. ი. მეგრული, ჭანური და სვანური. ამ კილოების შესწავლა კიდევ შეუძლებელია, თუ არ გამოვცეთ სახალხო სიტყვიერება, ზღაპრები, ლექსები, თქმულებანი და სხვ., ამ კილოებით დაწერილი, ამბობს პატივცემული ავტორი. რასაკვირველია, ქართულის ენის შესასწავლად საჭიროა ყველა მის კილოების შესწავლა, ხოლო ამათ შესასწავლად შეგრება და გამოცემა სახალხო სიტყვიერების ძეგლთა. განსაკუთრებით მეგრულ კილოში შეხვდებით ბევრს იმისთანა სიტყვას, რომელიც ძირითადი ქართული სიტყვაა, მაგრამ დღეს ვერც ქართლ-კახეთში და ვერც იმერეთში ვერ გაიგონებთ, და მხოლოდ ძველ წიგნებში და საღმრთო წერილში ნახავთ, როგორც მაგალითად სერი—ღამე, ლური—ძაღლი, რკინუა—ჭიდაობა და სხვა-და-სხვა, აგრეთვე მეგრულში იპოვით იმისთანა სიტყვასაც, რომელიც მხოლოდ სომხურ ენაში შეგხვდებათ, რაც, რასაკვირველია, აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ოდესმე ქართველთა და სომეხთ, თუ ერთ ენაზედ არა, ერთმანეთის მონათესავეზედ მაინც ულაპარაკნიათ.

მაგრამ, განა, მარტო ენის შესასწავლად არის საჭირო, როგორც ქართულის, ისე ყველა მის კილოების სახალხო სიტყვიერების ძეგლთა შეგრება და გამოცემა? განა, საზოგადოდ ქართულის ქულტურის შესასწავლად და სავსებით გამოსარკვევად-კი არ არის საჭირო, რაც შეიძლება, მალე შეიკრიბოს და გამოიცეს, ქართულთან ერთად, მეგრული, სვანური და სხვა ლექსები, ზღაპრები, თხზულებანი და სხვა? დიახაც რომ არის და ამიტომ მით უმეტეს საჭიროა ბ. პეტრე მირიანაშვილის მოწოდება არ დარჩენილიყოს „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“ და ყველა, ვისაც-კი გარემოება ხელს უწყობს, როგორც, მაგალითად, სოფლის მასწავლებლებს, მღვდლებს და სხვებს, უნდა დაეხმაროს მას ამ საქმეში: ჩასწეროს, რასაკვირველია, ქართულის ანბანით (პროფესორ ცაგარლისაგან კიდევაც არის გამოცემული რამდენიმე მეგრული ზღაპარი, ლექსი და სხვა ამნაირად, საერთო სათაურით: „Мингрельскіе этюды“) სახალხო სიტყვიერების ძეგლნი და გაუგზავნოს...

დუტუ-მეგრელი

ნაკვესი და ნარევი

აწირებული საჩივარ-სამართალი. 1899 წ. ქალ. ხოტინში ქ-ნმა პეისახმა საჩივარი შეიტანა სამოქალაქო მსაჯულ დიაგილევთან მ. შტიგელზედ, რომ ამ უკანასკნელმა «კუდიანი» დამიძახაო. მსაჯულმა საჩივარზედ შემდეგი განაჩენი დასწერა: „დაუბრუნდეს თხოვნა პატრონს, ვინაიდგან სიტყვა „კუდიან“-ში საწყენი არა არის-რა; მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მისი მთქმელი დიდი ტუტუცია და ვინც იწყინა—კიდევ მეტიო“. ასეთმა სამართალმა უფრო გააბრაზა ქ-ნ პეისახი და საჩივარი ეხლა მსაჯულზედ გაგზავნა პირდაპირ უმართებულეს სენატში, რომელმაც ბ-ნი დიაგილევი სამართალში მისცა. ეს საქმე განიხილა პალატის სესსიამ ქ. კამენეც-პოდოლსკში და ბ-ნი დიაგილევი 25 მანეთით დააჯარიმა.

* * *

უცნაური ფანატიკოსობა. მოგეხსენებათ, რომ ტალმუდი ებრაელებს შაბათობით ხმელეთზე მოგზაურობას უკრძალავს. თურმე რამდენსამე ებრაელს მეტად საჭირო საქმე ჰქონოდა მეორე ქალაქში, მაგრამ გადაფრენა არ შეეძლოთ და რკინის გზით წასვლას-კი სჯული უკრძალავდა; იფიქრეს, იფიქრეს და შემდეგ ხერხს მიჰმართეს: თითო კაცმა თითო ბოთლი აავსო წყლით, შეიტანა ვაგონში და ზედ დაჯდა, ვითომდა ხმელეთით-კი არა, ზღვით მივდივართო; ზღვით მოგზაურობა-კი ტალმუდით არაა აღკრძალული. ამნაირად არც საქმე წაახდინეს და არც მოსე მოამძღურეს.

რამდენ სისულელეს ჩაადენინებს კაცს ფანატიზმი!

* * *

შაჰის თხზულება. სპარსეთის შაჰს დაუწერია წიგნი, რომელშიაც აღწერილია მისი შთაბეჭდილებანი 1900 წელს ევროპაში მგზავრობის დროს. ეს წიგნი გამოიცა მხოლოდ რვა ცალად, რომლებიც დანიშნულია გვირგვინოსანთა მისართმევად. ამ დღეებში ერთი ცალი, მშვენიერს ყდაში, სპარსეთის ელჩს ოსმალეთის ხონთქრისათვის მიურთმევია.

სასოფლო მეურნეობა

ვუჩინოს სოია *).

სოიას კულტურა **)

როდესაც უმეტესი ნაწილი პარკებისა და თესლებისა დამწიფდება, სოიას მოკრეფა უნდა, გალეწვა და, მარცვლების კარგად გახმობის შემდეგ, შენახვა მშრალს ადგილას.

თითო-თითოდ პარკის მოკრეფა ბუჩქზე მოუხერხებელია, რადგანაც ამას ერთობ ბევრი დრო მოუნდება: თითო ბუჩქზე რამდენიმე ასი პარკია. შრომის გასაადვილებლად ბუჩქებს ძირიანად სთხრიან, ან ცელავენ, ან-და ნამგლით სჭრიან ისე, რომ ძირები მიწაში ჩარჩეს. მოჭრა,—რა თქმა უნდა,—უფრო ადვილიც არის და ამასთან მიწისათვისაც მეტის მეტად გამოსადეგი, რადგანაც ამ შემთხვევაში მიწაში რჩება აუარებელი ძირები, აზოტით მდიდარნი და აზოტი ხომ უპირველესი საკვები ნივთიერებაა საზოგადოდ მცენარეებისათვის და კერძოდ პურეულობისათვის.

თუ ბუჩქებზედ ბევრი დაუმწიფებელი პარკებია, გარდა იმ პარკებისა, რომელიც ბუჩქის ზემო ნაწილზედ იმყოფება—მოჭრილი ბუჩქები ისეთ ადგილას უნდა ჩამოჰკიდოთ, სადაც ქარი ჰქრის და მზე აცხუნებს. ამ შემთხვევაში ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გამხმარი პარკები სკდება და იქიდგან მარცვლები ცვივა, ამიტომ ამას თვალ-ყურის დევნება უნდა. როდესაც პარკები გახმება, ბუჩქებს წმინდა ადგილზე აწყობენ და ლეწავენ, როგორც, მაგალითად, ლობიოს; შემდეგ მარცვლებს უნდა განიავება, კიდევ ძალიან გახმობა მზეზედ და შენახვა. მოგროვებულ თესლებში ბევრი წვრილი სოიის თესლებიც ურევია, დაუმწიფებულ პარკებიდგან. ეს მარცვლები უნდა მოაშორონ სათესლეს.

მოსავალი სოიასი.

ცნობები სოიის მოსავლის რაოდენობის შესახებ სხვა-და-სხვა ადგილას სხვა-და-სხვა ნაირია. ბ-ნის კოტელნიკოვის სიტყვით, ერთი დესიატინა აძლევს 80—150 ფუთს და იმდენსავე ჩალას. ბ-ნის ოსინსკის გამოცდილებით, ერთი დესიატინა აძლევს 200—300 ფუთამდე; პოლტავის გუბერნიაში ბ-ნმა ჩერნოგლაზოვმა მიიღო ერთ დესიატინიდგან 224 ფუთი. ასეთია ცნობები არა ვუჩინოს სოიის მოსავლიანობაზედ. ხოლო ვუჩინოს სოიას შესახებ შევიტყვეთ შემდეგი:

---

*) იხ. „ივერია“ № 131.

*) იხილე წიგნი. „Соя, какъ одинъ изъ лучшихъ пищевыхъ и кормовыхъ продуктовъ растительнаго царства“. А. Е. Вучино.

ნია?

— კი მარა, ისინი იმდენს რავა აიღებენ, რომ თავისი წვრილ-შვილი გამოკვებონ?

— ნამეტანი ცუდია, ძმაო, ნამეტანი, გამოხვალ ადგილიდგან და მშიერი ქვე დარჩები მთლა ცოლ-შვილით. აია, ერასტია, ჩემი ბიძა არაა, ოთხი თვეა ცუდათ დეიარება.

— პატარა ბიჭი რავა-ღაა, შენი, იღებს რასმე თუ ისტეა?

— დეურჩა მას თავი, ბინაზე არა ჩერდება, გუშინ ქე გამოვიდა ადგილიდამ და აწი სხვაგან გავგზავნე. ნამეტანი ხალისი აქვს წიგნისა, მარა აპა რაიას მოუტანს წიგნი?

— რავა უბედურია, ჩემი ბიჭისა არ იყვეს, კი. კაია, მარა, რავა შენის მაგი ღარიბი კაცის შვილს?

ამასობაში მზე საშუადღეოდ უკვე აიმართა და ქარვასლასთანაც ხალხი ნელ-ნელა შეთხელდა; ეტყობოდა, აქეთ-იქით წავიდნენ სხვა სავანის საძებნელად.

— წავიდეთ ჩვენც აწი ბაღში გევიაროთ, თვარა დრო ქვე მიდის და აქანა მსახურს-კი აღარა კითხულობენ. აგერია დაუღიათ პირი და დგენან ისტე,—სთქვეს იმ ორმა იმერელმაცა და წავიდნენ ბაღისკენ ნელ-ნელა. მეც შეუნიშნავად იმათ გავყევი უკან.

ბაღში უფრო მეტი იყო ცუდა კაცის სიმრავლე, ვიდრე ქარვასლასთან. საღამომდინ იქ ვიყავი მშიერი და ვუგდებდი ყურს, ვგონებ, ჩემზე უფრო მშიერი ხალხის ლაპარაკს. საღამოზე ბაღი დაცარიელდა, ზოგიერთებიღა დარჩნენ, მეც, რაკი იმათსავით ბინა არა მქონდა, მივეგდე იქვე მოფარებით ერთ ყრუ ალაგას, სადაც მებაღე უფრო ვერ შემამჩნევდა.

XIII

დილა ადრიან მებაღემ უცებ ფეხი წამკრა და წამომაგდო მძინარე.

— ადე, შე ოხერო, ვილაცა ხარ? აქ რა ძილის ალაგია, რომ დაგდებულხარ?—შემომიტია იმანა.

— სამუშაო ხომ არსად არა იცი-რა? ცუდათა ვარ, უსაქმოთ,—ვკითხე მე.

— წადი იარმუკაში და იქ იკითხე, აქ მე რას მეკითხები?—მითხრა იმანა.

მე წაველი.

როგორც იყო, მივაგენ იარმუკას და დავდექი მეც იქ, სადაც სოფლიდან ჩამოსული გლეხები იდგნენ დღიურ სამუშაოს საშოვნელად.

შუა-დღემდინ ვიყავ იქა, მაგრამ ხმა არავინ გამცა და მე-კი მუცელი ვალალას მაყრიდა. ეტყობა, როგორც მე, ისე იქ დარჩენილ გლეხებსაც აყრიდა მუცელი ვალალას, რომ ერთმა უთხრა მეორეს:

— ეჰ, ძმაო, აგერ ერთი კვირა აქა ვარ, მაგრამ მე აქ სამუშაო ვერა ვიშოვნე-რა. ისევ ვაგზალში სჯობია, შეშის ვაგონები იქნება დასაცლელი, კაცი პურის ფულს მაინც იშოვნის.

— წამო, მაშა, კაცო, და წავიდეთ; რაღას უყურებთ,—დაეთანხმა მეორეცა და წავიდნენ. მეც იმათ გავყე ტუსტუსითა.

ვაგზალში შუა დღიდამ საღამომდინ ვიშოვნე ორი შაური, რომელიც ავიღე ორი „პოვოსკა“ შეშის მიწოდებაში.

იმ ღამეს ვაგონ ქვეშ მეძინა, რადგანაც წვიმა მოდიოდა, მაგრამ სამაგიეროდ მუცელი ხომ მაძღარი მქონდა?

მეორე დღეს ერთი ვაგონი შეშა დავცალეთ ორთა საამხანაკოთ, ხუთ შაურათ და ავიღეთ თითომ ორ-ორ შაურ ნახევარი.

ასე ერთ კვირას დავყავ ვაგზალში ხან მშიერმა და ხან მაძღარმა. ისედაც ძველი ტანისამოსი სულ შემომაცვდა, ხელები ხიჭვებით გამევსო, საქმე გამომელია; შეშის ვაგონები ჯერ არ იყო მოსული.

დავიძარ ისევ იარმუკისაკენ.

ერთმა ზოკმა სომეხმა წამიყვანა სახლში ხელზე მოსამსახურეთ. ცოლს დაებარებინა.

იმისმა აღჩი-პარუმმა (ცოლმა), შემამხედა თუ არა, გაოცდა და შეუტია ქმარსა.

— დაკარგე, დაკარგე აქედან, აგრე დაგლეჯილსა და მასხარას მე სახლში არ შემოვუშვებ.

წამოველ ისევ იარმუკაში და დავდექი ახლა კიდევ დღიურად მომუშავე გლეხებთან. მაშ რა მექნა?

ძლივს, ერთმა „ფოდრაჩიკმა“ წამიყვანა დღეში ხუთ შაურად, უნდა თაბხით კირი მეზიდნა მესამე სართულში იმის კალატოზისათვის, ფოდრატით აღებულ შენობაზე, ჩემის პურით.

ვიმუშავე იმასთან ერთი თვე. ვსჭამდი დღეში ორ შაურს და ვინახავდი სამ შაურს. შესდგა ოთხი მანეთი და ათი შაური. ამით ვიყიდე ახალი ტანისამოსი, ბლუზა ორ აბაზიანი ოთხ აბაზად, შარვალი აგრეთვე ნახევარ ფასიანი ორ ფასად, ქუდი, ჩუსტები, ქამარი და სხვ. გამოუცდელი, ხამი ვიყავ და, რასაკვირველია, ვაჭრები თავისებურად ისარგებლებდნენ ჩემგან. ქურდობას ხომ არა შვრებოდნენ?

ესრედ მე შევიმოსე ტანთა და დავდექ კიდევ ხელ-მეორედ ქარვასლასთან, სადაც ბლომად იდგნენ კიდევ ჩემისთანანი.

სამის დღის შემდეგ ჩემის იქ დგომისა, ერთმა ღვთისნიერმა ქალბატონმა დამიძახა. მე მაშინვე ვეახელი.

— სახლში არ დადგები, შვილო, ხელზე მოსამსახურეთ?—მკითხა იმან ალერსიანად.

— რატომ არ დავდგები,—მოვახსენე საჩქაროდ.

— თვეში როგორ დადგები, შვილო?

— რასაც მომცემთ, ქალბატონო, დავჯერდები.

— კარგი, შვილო, ბილეთი გაქვს?

— არა!

— რატომა, შვილო, უბილეთოდ როგორ იქნება?

— რა მოგახსენო, ქალბატონო, პატარა ხარ, არ გინდაო, ასე მითხრეს.

— სადაური ხარ, შვილო?

— მეჯვრის-ხეველი გახლავარ.

— სახელად რა გქვია?

— სიკო.

— დედ-მამა გყავს?

— არა, ობოლი ვარ.

— წამოდი, შვილო, ჩაგაცმევ, დაგხურავ, კარგად შეგინახავ და თვეში ოთხ მანეთსაც მოგცემ. თუ კარგად მოიქცევი, კიდევაც მოგიმატებ.

მე მაშინვე გავყევი.

აღმოჩნდა, რომ ჩემი ბედი აქ იყო. ქალბატონი მშობელ დედად გამიჩნდა და შვილებში არ მარჩევდა. ღმერთი არ გაუშვებს უნუგეშოდ თავის გაჩენილს, წინ-და-წინვე სასოება არ უნდა დაჰკარგოს კაცმა.

აქ შევამოკლებ ჩემს იქ ყოფნის ისტორიას. მე დავყავ იმათსა ექვსი წელიწადი, სადაც ბევრი რამა ვნახე და ბერი რამ გამოვსცადე. ამ ექვსის წლის განმავლობაში მე შევისწავლე ცხოვრება და ამ ცხოვრების შესწავლითვე შევაგროვე ოცი თუმანი ფული. ახლა მომეცა ამ ფულთან ერთად გული. უიმისოდაც აქამდის მნდომს თანდათან უფრო მომინდა ჩემი მიწა-წყლისა და მშობლების ნახვა. ახლა თვრამეტის წლის ვაჟკაცს აღარ მეშინოდა ბატონისა, როგორც თორმეტი წლისას. პირიქით, ვფიქრობდი იმის შეხვედრასა.

რა-კი ჩავიდე გულში ერთი და ერთი შინ დაბრუნება, იმდენი უფრო გამიცხოველდა ჩემის მშობლების ნახვის სურვილი, იმდენი უფრო გაგრძელდა ხანი, იმდენი უფრო მოუთმენლობა მომეცა. სულ თვალ-წინ მედგა ცხოვლად ჩემი მოხუცებული მამა, ჩემი მშობელი დედა, ჩემი და ფოფო. ცხადლივ თუ სიზმრად სულ იმათ ვხედავდი. გონებით აღარა ვშორდებოდი.

ბოლოს, რა-კი დრო ვიპოვნე, ველარა ვითარმა ძალამ ვერ დამიკავა, და ერთს მშვენიერს დღეს გავწიე შინისკენ მორთულ-მოპრანჭულმა, სრულიად გამოცვლილმა. აგერ გავვლიე ნახევარი გზა. აგერ ვგრძნობ რაღაცა აღფრთოვანებას. მინდა, რომ ფრთები მესხას და გავფრინდე. ნეტავ, ცოცხლები-ღა დამხვდებიან? ნეტავ, ცოცხალი-ღა ვგონივარ იმათ? როგორ გაეხარდებათ, როგორ მომეხვევიან.—მეხვევა ამგვარი სხვა-და-სხვა ფიქრები თავს, არა ისეთი, როგორიც მაშინ მეხვია, ტივით რომ ვშორდებოდი ჩემს მხარეს, არა, მაშინ სულ უთავბოლო ფიქრები მქონდა, ახლა-კი იმედი მაინც იყო. აგერ დაღამდა. აგერ უკვე ვახშმობა არის. აგერ, აგერ წუთიცა და საცაა მიველ. მაგრამ წუთიცა მძიმობს. აგერ ჩვენი სოფელი გამოჩნდა, აგერ ჩვენი წყალი, აგერ ვენახი, აგერ სახლიც გამოჩნდა, სანათი ჯერ კიდევ ანთია, ცოცხლები არიან. ალბად არა სძინავთ. ვახშამზე ისხდებიან. ჩემი ფოფო...

(დასასრული იქნება).

1899 წლიდგან დაკვირვებამ გააჩვენა, რომ ეს სოია დიდად მოსავლიანია: ქუთაისის გუბერნიაში ერთი დესიატინა იძლევა 180 ფუთამდე. ვუჩინოს დაკვირვებით, ქობულეთში თითოეულ ბუჩქზე იყო 173—191 პარკი ან 346—382 მარცვალი თითო ბუჩქიდგან, როდესაც პარკში ორ-ორი მარცვალია და 519—573 მარცვალი, როდესაც პარკში სამ-სამი მარცვალია; ხოლო არა ერთხელ გვიპოვნია ბუჩქზე 300—375 პარკი, რომლებშიაც იყო 750—935 მარცვალი.

ბ-ნის გამყრელიძის ცნობებიდგან სჩანს, რომ სოფ. სადიმეტრაოში ერთი დესიატინა იძლევს 94 ფუთს.

ბ-ნი ნ. პ. დგებუაძე სოფ. ჰქლადიდიდგან ბ-ნს გამყრელიძეს ატყობინებს სოიის შესახებ შემდეგს ცნობებს: „მე ავიღე საშუალო სიდიდის ბუჩქი და ვნახე იმაზე 318 პარკი, რომელშიაც საშუალო რიცხვით იყო 635 მარცვალი“. ბ-ნ დგებუაძეს გამოუცხობინებია სოიიდგან პური და აი რას სწერს ამის შესახებ:

„ორ გირვანქა სოიის ფქვილს შევურიეთ ერთი გირვანქა ხორბლის ფქვილი (пшеничная мука). პური გამოვაცხვეთ და გამოვიდა საუცხოვო გემრიელი, ნოყიერი და რბილი. მეორე გვარი პური იყო გამომცხვარი ორ გირვანქა სოიის ფქვილისა და ერთ გირვანქა სიმინდის ფქვილიდგან. პური გამოვიდა არა ნაკლებ პირველის გვარისა. ეს პურები ვაჭამე ადგილობრივს ინტელიგენციას და დაბალ ხალხს და ყველა აღტაცებაში მოვიდა“.

სანამ იმაზედ მოვილაპარაკებდეთ, თუ რა ნაირათ კეთდება სოიის ფქვილიდგან ყავა, პური, გალეტები და სხვ., ვთქვათ ორიოდე სიტყვა იმაზედ, თუ რა მომავალი მოელის ჩვენს პურეულობას, და სოიასაც. შეიძლება თუ არა სოიას არ დაედოს ღირსეული პატივი და არ დაეთმოს უპირველესი ადგილი ერთობ ევროპასა და რუსეთში და კერძოდ—ჩვენში?

უკანასკნელ დროს ხშირად გვესმის, რომ პურის მოსავალი კლებულობს, ევროპაშა პური ძვირია, დაბალი ხალხი სიმშილით სუსტდება და საქონელს საკვები აკლდება. ეს გარემოება ეხლა ყველა განათლებულ სახელმწიფოს სალაპარაკოდა აქვს და აწუხებს. ბევრნი მეცნიერნი და მათ შორის ინგლისის ქიმიკოსი პროფესორი ვილლიამ კრუკსი ამტკიცებს, რომ მალე ევროპა იგრძნობს პურის უქონლობას და გაჩნდება სიმშილი. ეს აზრი წარმოსთქვა კრუკსმა 1898 წ. ბრისტონში, საზოგადოებაში და დაბეჭდა ჟურნალ „Revue Srientifique“-ში წერილი, რომელმაც აალელვა ქვეყანა. ექიმი და ქიმიკოსი რუდოლფ უატტენსი დაეთანხმა კრუკსის აზრს, ხოლო დასძინა, რომ შესაძლებელია ამ გაჭირვებამ გამოიწვიოს მეცადინეობა ხელოვნურის საზრდოს გამოგონებისათვისაო.

კრუკსი მრავალ სტატისტიკურ ცნობებზე ამყარებს თავისს აზრს, თეთრ-კანიანთათვის შემაძრწუნებელს,—თეთრ-კანიანთათვის იმიტომ, რომ ეს ადამის ტომი იკვებება მხოლოდ პურით. კრუკსის გამოანგარიშებით, ყოველ წელიწადს კაცობრიობას ემატება ექვსი მილიონი სული, ამიტომ 25 წლის შემდეგ კაცობრიობას ეხლანდელზედ ერთი ორად მეტი პური მოუნდება. ევროპას რომ ეხლა ვეღარ ჰყოფნის მისი პური, ეს იქიდგანა სჩანს, რომ ეს საზრდო ამერიკიდგან მოაქვს; მაგრამ საქმე ის არის, რომ მალე ამერიკასაც დააკლდება თავისი პური და აღარ გაზიდავს ევროპაში. ბევრნი მეცნიერნი იმით ნუგეშობენ, რომ, როდესაც ამერიკა მოსპობს ევროპაში პურის გაზიდვას, მაშინ სხვა ქვეყნები მოუმატებენ პურის თესვასაო. მაგრამ, კრუკსის აზრით, ეგ მოუხერხებელია სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო. სხვა ქვეყნებმა რომ მიჰყონ ხელი ვრცლად პურის თესვას, ამისათვის, სხვათა შორის, საჭირო არის: იაფი მუშა, კარგი მიწა, ადვილი გადაზიდვა, მცირე ბაჟი და შიგ ქვეყანაში მცირე გადასახადი,—და ყველა ეგ-კი შეუძლებელია, რადგანაც შრომის ფასი თანდათან მატულობს, მატულობს გარდასახადიც და ყველაზედ უარესი ისაა, რომ მიწას მცენარის საკვებნივთიერებანი თანდათან აკლდება.

კრუკსი ამ დასკვნას არ აკმარებს კაცობრიობას: ის ამბობს, რომ თუნდაც რომ ყოველგანაც მოუმატონ პურის თესვას და მოისპოს ყველა ზემოხსენებული მიზეზები, მაინც 1931 წელს მთელი დედა-მიწის პური კაცობრიობისათვის არ იქმნება საკმარისიო. თავისს აზრს კრუკსი კიდევ იმით ამტკიცებს, რომ ის სასუქი ნივთიერება, რომელიც მდიდარია აზოტით და რომლითაც ასუქებენ ეხლა მიწას პურისათვის (ჩილის ნატრი, ჩილის გვარჯილა), გამოილევა 26—30 წელიწადშიო. გარნა ეს საშიშარი წინასწარმეტყველი ჩვენის შავის დღეებისა სრულიად უნუგეშოდ არ გვტოვებს: მართალია, თუმცა აზოტით მდიდარი სასუქი (ჩილის გვარჯილა და ნატრი) გამოილევაო, მაგრამ, სამაგიეროდ, შეიძლება შემოიღონ თესვა იმ პარკიან მცენარეებისა, რომელნიც ჰაერიდგან აზოტს იზიდვენ და აგროვებენ მიწაშიო; კრუკსი მაინც სრულიად დარწმუნებული არ არის იმაზე, შეუძლიან თუ არა ამ მცენარეებს (პარკებიანს) აზოტით მიწის გამდიდრება.

მისმა მოსაზრებამ ფრთები შეასხა ბევრს მეცნიერს, რომლებმაც ხანგრძლივის გამოკვლევითა და გამოცდილებით დაამტკიცეს, რომ პარკებიანი მცენარეები (და იმათში ჩვენი სოიაც) მართლაც აგროვებენ აზოტს და ამით ასუქებენ მიწას; ამაზედ დიდი ამაგი მიუძღვისთ კაცობრიობის წინაშე საფრანგეთის ბაქტერიოლოგს დიუკლოს (იხ. Annales de l'institut Pasteur 1894 წ. გვ. 728), რუსეთის ბაქტერიოლოგს ვინოგრადოვს (იხ. Сельск. Хоз. и Лѣс., Январь 1897), Moré-ს, (Fixation de l'asote libre par le bacille des nodosités des légumineuses.—Annales de l'institut Pasteur 1897 წ. გვ. 44). ლორანს, ბაიერინკს, პრაზმოვსკის და ფრანკს.

ამნაირად, სოია, გარდა იმისა, რომ თავით თვისით საზრდოა კაცობრიობისა ეხლანდელს ჩინეთში, იაპონიაში და სხვაგან და საქონლის საკვები,—სულის ჩამდგმელიც ყოფილა იმ პურეულობისა, რომელზედაც დამოკიდებულია სიცოცხლე თეთრ-კანიანებისა—კავკასიის რასისა: ყოველნაირი პურეული, დათესილი სოიას შემდეგ დატოვებულ მიწაზედ, შესამჩნევს მოსავალს იძლევა.

ნ. მკურნალი.

(შემდეგი იქნება.)

ბიბლიოგრაფია

1. Записки Кавк. отд. Императ. русск. географическаго общество, кн. XXII, вып. 5-й.
2. Извѣстія, т. XV, № 2 იმავე საზოგადოებისა.

პირველს წიგნში მოთავსებულია ერთად-ერთი წერილი ნ. ი. დინნიკისა,—Верховья Малой Лабы и Мзымты. ავტორი შეეხება ყუბანისა და აფხაზეთ შორის მდებარე ქვეყნის აღწერას გეოგრაფიულის მხრივ და შიგა და შიგ ეთნოგრაფიულ ცნობებსაც ურთავს.

მეორე წიგნში მოთავსებულია რამდენიმე წერილი: ა) Городища и курганы Куро-аракской ровнины, ბ) Вторая экскурсія Заруднаго по Персіи, გ) Новое путешествіе по Персіи Сайкса, დ) ბიბლიოგრაფია.

ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში ჩვენს ყურადღებას იპყრობენ მოკლე-მოკლე შენიშვნები ა. ს. ხახანაშვილისა და ნ. ზეიდლიცისა. ხახანაშვილი, სხვათა შორის, აცნობებს საზოგადოებას Lynch-ის წიგნს „Armenia Travels und Studies“. ამ დიდს წიგნში საქართველოს შესახებაც ზოგი რამ ყოფილა მოთხრობილი, მაგალ., ავტორს მიუქცევია ყურადღება ყარსის სახელწოდებაზე, და სამართლიანად შენიშნავს, რომ ეს სახელი წარმომდგარა ქართულ სიტყვიდგან კარი. მეორე წერილში ა. ხახანაშვილი ეხება ავრელიო პალმირის წიგნაკს—La chiesa georgiana e le sue origini.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 თიბათვე.

ქერჩი. 1-დ ივლისიდგან აქ შემოღებულ იქმნა ახალი წესი კომერციულ ნავთ-სადგურის მმართველობისა.

ლონდონი. დღეს მეფე ავადმყოფთათვის განსაკუთრებულად მოწყობილს ეტლში ჩაბრძანდა და სასახლიდგან წავიდა რკინის-გზის სადგურ ვიკტორიაზე და იქიდგან გაემგზავრა პორტსმუტს.

მიუნხენი. პრინცმა-რეგენტმა გუშინ მიიღო რუსის საელჩოს მდივანი ლვოვი გამოსათხოვ სალამზედ.

ლონდონი. მეფემ სალისბერის უბოძა ორდენი ვიკტორიას დიდის ჯვრისა ბრილიანტებით.—ბალფური დაინიშნა დიდის ბეჭდის მცველ ლორდად. ახალი მინისტრების დანიშვნას ანუ გადაყვან-გადმოყვანას აწინდელი კაბინეტი ალბად გადასდებს შემოდგომის პარლამენტის სესიამდე. არსებითი ცვლილებას კაბინეტში არ მოელიან. ბალფურმა უნიონისტთა წრეს აცნობა, რომ თუმცა კაბინეტში ზოგიერთი ცვლილება შესაძლებელიაო, გარნა უნიონისტების პოლიტიკა უცვლელად შერჩებაო. საზოგადოებათა პალატაში ბალფურს აღტაცებით და მილოცვით მიეგებნენ. სალისბერს ლორდთა და საზოგადოებათა პალატებში კაბინეტის წევრები და ლიბერალურ ოპპოზიციის მეთაურნი აღტაცებით დაუხვდნენ.

კონსტანტინეპოლი. სულთნის ირადეთი დამტკიცებულ იქმნა მინისტრების გარდაწყვეტილება შესახებ რუვიეს გაერთიანების გეგმისა.

ლონდონი. სასარგებლოდ სამეფო სამოწყალეო საზოგადოებისა უელსის პრინცესის მოთავეობით გამართულ იქმნა მუსიკალურ-ლიტერატურული დილა, მონაწილეობით ქ-ნის ბოლსისა, სარა ბერნარისა და სხვ. პრინცესსა ლუიზამ მეფის სახელით, რომლის მორჩენის გამო იყო გამართული კონცერტი, მადლობა გადაუხადა და არტისტებს გადასცა სამეფო საზოგადოების წევრობის საპატიო დიპლომები. არტისტებს ფრიად წარმართათ საქმე.

ვიტებსკი. გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა 1-ლი კრება შესახებ სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა. კრება დათათბირდა შესახებ პროგრამმის უმთავრეს მუხლებისა. მაზრის უფროსებს დაეგზავნა ნუსხა კითხვებისა თხოვნით: მოიწვიონ მცოდნე კაცები, რათა გამოსთქვან თავისი აზრი ამ საკითხების შესახებ.

პეტერბურგი. „Правит. Вѣст.“-ში დაბეჭდილია ჟურნალები ცალკე ბჭობის კრებათა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათათვის. ამ ჟურნალებში განხილულია მოხსენებანი: 1) „შედეგი რუსეთის სასოფლო მეურნეობისა წარსულის საუკუნის უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში“; 2) მოხსენება ერმოლოვისა—„ზარალი, რომელიც მოჰყვა ხვნა-თესვის უმთავრეს წესს ჭვავის გარდამეტებულის წარმოებით და ღონისძიებანი, რომ თან-და-თან უფრო წესიერს რიგს დაადგეს მეურნეობა ხვნა-თესვის საქმეში“; 3) მოხსენება კულომზინისა—ღონის-ძიებანი საკვებ ბალახთა თესვის გასაძლიერებლად გლეხთა საკომლო მამულებზედ“, და 4) მოხსენება გაწერილ ხარჯთა დეპარტამენტისა: „ზოგიერთი ფიქრი იმ ღონისძიებათა შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნას განკარგებული შუაგულ რუსეთის გლეხ-კაცობის მიერ მამულის სარგებლობისა და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საქმე“. პირველ მოხსენების ავტორი იმ აზრს დაასკვნის, რომ ერთად-ერთი ღონისძიება, რათა მამული სულ არ გამოიფიტოს და არ დაუღონდეს საქონლის მოშენების გაძლიერებაა და შენაცვლებით ხვნა-თესვის შემოღებაა. საჭიროა აცილებულ იქმნას საკანონმდებლო დაბრკოლებანი, რათა სათემოდ მიწის-მფლობელობის რიგი შეიცვალოს კერძოდ და საკუთრად მამულის მფლობელობის რიგით. დასაბუთებული პრაქტიკული ღონის-ძიებანი სასოფლო მეურნეობის ვითარების განკარგულებისა და მისის ტეხნიკის ამაღლებისათვის ის არის, რომ შემცირდეს თესვა ხორბლეულისა და გაძლიერდეს თესვა საკვებ ბალახთა და ისეთ თესლეულობისა, რაც მიწაში იკეთებს ძირს. მესამე მოხსენება ამტკიცებს, რომ რაოდენობა სასუქის ევროპიულ რუსეთში ორჯერ-სამჯერ ნაკლებია იმაზედ, რაც საჭიროა მამულის წესიერად გაპატივებისათვის. გაძლიერება მოსავლიანობისა შეიძლება მხოლოდ მით, რომ თავი დავანებოთ სამ-ნაჭრად დაყოფას მამულისას და შენაცვლებით თითოეულის შემუშავებას სამის წლის განმავლობაში და მის მაგიერ შემოვიღოთ საკვებ-ბალახთა თესვა დასასვენებელ მამულში. სათემო მფლობელობა არ არის დაუძლეველი დაბრკოლება გლეხთა შორის საჭირო სასოფლო-სამეურნეო განკარგებათა შემოსაღებად. მეოთხე მოხსენებაში ნარჩევია ვსცადოთ ისე დამიჯნვა გლეხთა მამულებისა, რომ თითოეულს კომლს ეჭიროს წესიერად შემოფარგლული ნაჭრები, აგრეთვე ვსცადოთ ზოგიერთ სამელიორაციო საქმეთა გაკეთება რამდენსამე სხვა-და-სხვა ხასიათისა და ვითარების მაზრაში. მეხუთეში ნათქვამია, რომ უმთავრესი მიზეზი სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის დაცემისა არის მოურიგებლობა ერთმანეთში დიდ მემამულეთა და გლეხთა შორის. ამ ნაკლულევანების ასაცილებლად უნდა ის ვიღონოთ, რომ გლეხებს ნება ჰქონდეთ ჰხნან და სთესონ სადაოდ მიწათ-მფლობელთა მამულები. ბჭობამ საჭიროდ დაინახა განიხილოს შემდეგი უმთავრესი საგნებისა: 1) საჭიროა თუ არა ვეტანებოდეთ რუსეთში ხორბლეულის წარმოების გაძლიერებას და მოსალოდნელი ხომ არ არის მოჭარბება მისი და მით დაცემა ფასისა? ბჭობამ საჭიროდ დაინახა ღონისძიებანი მიმართულ იქმნას უმეტესად ინტენსიურ მეურნეობის შემოსაღებად და საქონლის მოშენების გასაძლიერებლად; ჩვენის სასოფლო მეურნეობის შემოსავლის გასამატებლად უნდა ამასთანავე ყურადღება მიექცეს ჩვენებურ საქონლის გაყიდვას საზღვარ-გარედ მით, რომ ეგ საქონელი უკეთესის ღირსებისა იყოს და თვით გაზიდვა საზღვარ-გარედ საქონლისა თუ მისის ხორცისა და ერბო-ყველისა უკეთესად იქმნას მოწყობილი. 2) უფრო მით უნდა განკარგდეს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა, რომ თვით-მოქმედება გაძლიერდეს სოფლის მემამულეთა შორის თუ უნდა ველოდოთ, რომ მთავრობამ იმოქმედოს და თავისი გავლენა და ძლიერება გამოიჩინოს ამ საქმის წინ წასაწევად? ბჭობამ უფრო მოსახერხებლად დაინახა ცდილობა თაოსნობის გასაძლიერებლად ხალხში; ამასთანავე აღიარა, რომ დიდი შემწეობა შეუძლიან აღმოუჩინოს ქვეყანას ამ შემთხვევაში სხვა-და-სხვა სასოფლო-სამეურნეო კავშირთა და ამხანაგობათა მოწყობას, თუმცა, რასაკვირველია, მთავრობის მხრივ ღონისძიებათა მიღებაზედაც ხელი არ უნდა ავიღოთ. 3) დღევანდელი ვითარება მამულის შემუშავებისა და სარგებლობისა გლეხთა მიერ დაბრკოლებას ხომ არას წარმოადგენს სასოფლო მეურნეობის წესიერად განვითარებისათვის? გლეხთა მეურნეობის მოუწყობლობა იმაზეა დამოკიდებული, რომ სათემო მიწები მეტის-მეტად დანაწილებულია და ზოგი მიწა აქ არის და ზოგი იქ, რაიცა ხშირია სათემო მფლობელობის დროსაც და კომლეულად მამულის საკუთრად ჭერის დროსაც. ამ საქმის მოწესრიგება შეიძლება პრაქტიკულ ღონისძიებათა მიღებით და ფაქტიურად გლეხთა მამულების მოწყობით იმ გვარად, როგორც ეს მოხსენებულია გაწერილ ხარჯების დეპარტამენტის წერილში. ამ წერილის დაწვრილებით განსახილველად საჭიროდ იქმნა ცნობილი შედგენა ცალკე კომისიისა სახელმწიფო სეკრეტრის კოკოვცევის თავმჯდომარეობით: კომისიის მოსაზრებანი წარედგინება განსახილველად ცალკე ბჭობას. გადაწყდა მიჰმართონ მოსკოვის სამეურნეო-საზოგადოებას, რათა მან შეჰკრიბოს ცნობანი ბჭობისათვის, სად და როდის იყო, რომ რუსეთში კერძო კაცმა ან საზოგადო დაწესებულებამ გამოიჩინა მოხერხებული და საგულისხმიერო თაოსნობა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ამა თუ იმ საქმეში. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და გასინჯა ჟურნალი განსაკუთრებულის ბჭობისა 26 ივნისს 1902 წელს. 2 ივლისს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა და მეფე იტალიის მიბრძანდნენ კრასნოე სელოში საღამოს 6 საათზედ; ბანაკის უმაღლესად გარ-შემოვლის შემდეგ, 7 საათზედ მათნი უდიდებულესობანი მიბრძანდნენ სამეფო კარავთან, სადაც მოისმინეს „ზორია“, შესრულებული ცერემონიით. კონცერტის შემდეგ სადილი მიართვეს კრასნოე სელოს სასახლეში; სადილს შემდეგ წარმოდგენა იყო კრასნოე სელოს თეატრში მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით.

3 ივლისი

პეტერბურგი. მისი უდიდებულესობა მეფე იტალიისა დაინიშნა ლიტვის დრაგუნთა მე-14 პოლკის შეფად. მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცას ულანთა ლეიბ-გვარდიის პოლკის კომანდირი გენერალ-მაიორი ლიუდოვიკ-ნაპოლეონი დაინიშნა კავკასიის საკავალერიო დივიზის უფროსად.

ლონდონი. მეფემ იმგზავრა კაუსამდე ისე, რომ დაღალობა არ უგრძვნია; თვითვე გამოსთქვა სიამოვნება, რომ ამინდი გამოიცვალაო. ამინდის შეცვლა მეტად ხელს უწყობს მეფის გასადებას.

ცეტინიე. იტალიის მისსია უკან დაბრუნდა. გუშინ ტურხან-ფაშის პატივსაცემლად გამართულს სადილზედ მთავარმა დალია სადღეგრძელო ხონთქრისა. ტურხან-ფაშამ გადასცა მთავრის ძეს მორკოს საათი, ბრილიანტებით მოოჭვილი, ხოლო მის მეუღლეს ბრილიანტის დიადემა და სამაჯური.

პორტ-არტური. ჩიფუში ინგლისელთა სასწავლებელში მოკვდა 13 უმაწვილი, რომელნიც მოსწამლა უვარგისმა საჭმელმა. ბევრნი კიდევ ავად არიან. გარდაცვლილთა შორის ერთი რუსია, კერძო ფლოტის ნადასკელ აგენტის შვილი.

ბორისოგლებსკი. ქალაქის გამგეობას ნება მიეცა ხუთის წლის განმავლობაში იღოს 1/10 კაპეიკისა ფუთზე იმ საქონლის პატრონთაგან, რომელიც ქალაქში მოაქვთ, ან ქალაქიდან გააქვთ რკინის გზით.

აჯიკენტი. საკმაოდ უხვს მოსავალს მოელიან ყველგან მთელს გუბერნიაში ყაზახისა და ზანგეზურის მაზრის გარდა, სადაც ადგილ-ადგილ სეტყვამ გააფუჭა ჭირნახულები. ბარად გათავდა მკა და თიბვა, მთა ადგილას ახლა დაიწყო. ფუთი პური ოთხაბაზზედ მეტად აღარ ფასობს.

სოფია. მინისტრ-პრეზიდენტმა გამოაცხადა საერო კრებაზედ, რომ სორფის საქმის გამო ბოლგარიის თხოვნა არ იქმნა აქამომდე აღსრულებული და მე არ შემიძლიან ამ საქმის თაობაზედ ვსთქვა რამეო.

პარიჟი. გუშინ საერო დღესასწაულის გამო გამართულ პარადის დროს პარიჟის სამხედრო გუბერნატორს და გენერალ პერრენს მზე ჩაუვარდათ თავში; ორასი ჯარის-კაცი ავად გახდა, ისე ცხელოდა; ბეგთაროსანთა შორის, რომელნიც ახლდნენ პრეზიდენტ ლუბეს ეტლს, ოცი კაცი გადმოვარდა ცხენებიდან; ავად გახდა რამდენიმე ასი კაცი დამსწრეთა შორის.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 ⅞ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთ ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	358
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	292 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	82¼ წვ. გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	89¾ წვ. გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	172½ წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

Денисовский

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საამხანაგო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—15)

GRAND PRIX PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К-о

„Духи Бутонъ д'Оръ“

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 іюля 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ნ. ხახანაშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე